აგრეთვე სრულფასოვანი 5 mm დიამეტრის და 12  $\mu\text{m}$  სისქის სტროუ მილების დამზადება ტესტირება და მათი თვისებების შესწავლა.


უნდა აღინიშნოს, რომ Phase-I-სთვის სტროუ დეტექტორების შექმნაში ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლების აქტიუობისთვის (დიზაინი, სტროუ მილების წარმოება, მათი შემოწმება და ტესტირება) გამოყენებული იქნა დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის ბაზა, რადგან თვითონ დუბნა არის კომეტ ექსპერიმენტის წევრი, ხოლო საქართველო კი დუბნის წევრი. ასევე იგეგმება შემდგომში ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლების მონაწილეობა სტროუ დეტექტორების აწყობაში და ინსტალირებაში იაპონიაში.

**სტროუ დეტექტორში სიგნალების დამუშავება და სხვადასხვა პარამეტრების განსაზღვრა GARFILDE ++ -ში მოდელირების საფუძველზე.**


სტროუ დეტექტორი თანამედროვე ექსპერიმენტული ფიზიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. იგი ტრეკული დეტექტორია და სიგნალები წარმოიქმნება სტროუ მილში ნაწილაკის გავლისას, გაზის განმუხტვის და შემდგომ ღვარის წარმოქმნის საფუძველზე. სიგნალების დამუშავების შედეგად საშუალება გვქმნება აღვადგინოთ ნაწილაკის ტრაექტორია, გადაცემული ენერგია და მისი იდენტიფიცირება მოვახდინოთ. რადგანაც სიგნალების დამუშავება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სტროუ მილების

ფუნქციონირებისას, ამ მიმართულებით კვლევა დავიწყეთ და საწყის ეტაპზე ვაკეთებთ სტროუ მილებში სიგნალის წარმოქმნის მოდელირებას და ამ სიგნალის სხვადასხვა პარამეტრების შესწავლას GARFIELD++ - ის საშუალებით.


ამ ეტაპზე კვლევა მოიცავს სიგნალის სხვადასხვა პარამეტრის დამოკიდებულებას მანძილზე, ანუ „ძაფიდან“ რა მანძილზე ჩაიფრინა ნაწილაკმა და სად დაიწყო ღვარის წარმოქმნა. თუ განვიხილავთ შემთხვევებს როდესაც ნაწილაკი მოძრაობს მილის მართობ სიბრტყეში მაშინ როგორი ტრაექტორიიდანაც არ უნდა გადაკვეთოს, მილის სფერული სიმეტრიის გამო ნაწილაკის მდებარეობა შეიძლება განვსაზღვროთ მხოლოდ რადიუსით - უმოკლესი მანძლით დეტექტორის ცენტრიდან ნაწილაკის ტრაექტორიის წირამდე. მონაცემები აღებულია შემდეგ პირობებში: პოტენციალთა სხვაობა 1800 ვოლტი, მილის დიამეტრი 1 სმ, ზაფის დიამეტრი 25 მიკრონი, ნორმალური ატმოსფერული წნევის და ტემპერატურის პირობებში, გაზის შემადგენლობა Ar 50% და CO<sub>2</sub> 50%. მოდელირება გაკეთებულია მიუონის შემთხვევაში ენერგიებისთვის 10<sup>2</sup>, 10<sup>5</sup>, 10<sup>8</sup>, 10<sup>11</sup> ელექტრონვოლტი, რადგანაც ნაწილაკის ურთიერთქმედება გაზთან სტატისტიკური პროცესია აღებული გვაქვს 100 შემთხვევა იდენტურ პირობებში და მიღებული პარამეტრები გასაშუალოებულია.



ფიგურა 35. სურათში მაგალითისთვის მოყვანილია მილში გავლისას ნაწილაკის ურთიერთქმედების წერტილები და წარმოქმნილი ღვარები (სხვადასხვა არეში გავლილი ნაწილაკებისთვის).



ფიგურა 36.




ფიგურა 37.

ფიგურა 36, 37 - ში მაგალითისთვის წარმოდგენილია მოდელირების შედეგად მიღებული სიგნალის ფორმა, ნაწილაკის მილში გავლისას.


მილში იონიზაციის ხარისხი და თვისობრივი ხასიათი დამოკიდებულია შესული ნაწილაკის ენერგიაზე და ამ ნაწილაკის მიერ იონიზაციაზე დახარჯულ ენერგიაზე. ამდენად საინტერესოა გავაკეთოთ მოდელირება



სხვადასხვა ენერგიის მქონე მიუონებისთვის თუ რა ენერგია დატოვებს მათ მილში ძაფიდან სხვადასხვა მანძილზე გაზის ატომების იონიზაციისას. ფიგურა 38-ზე წარმოდგენილია სხვადასხვა საწყისი ენერგიის მქონე მიუონების ენერგეტიკული დანაკარგი მილში გავლისას. იონიზაციისთვის თვისობრივ ხასიათს ასევე განაპირობებს გაზში შესული ნაწილაკის გაზის ატომებთან ურთიერთქმედების რაოდენობა, რაც თავისთავად აისახება მოხსნილი სიგნალის ფორმასა და სიძლიერეზე. საინტერესოა ამ ურთიერთქმედების რაოდენობის გრაფიკული ვიზუალიზაცია რომელიც გაკეთებულია GARFIELD++ - ში მოდელირების საფუძველზე, შედეგი წარმოდგენილია ფიგურა 39-ზე




ფიგურა 38. დამოკიდებულება მილიში დატოვებული ენერგიის მასში ცენტრიდან სხვადასხვა მანძილზე გავლისას, საწყისი ნაწილაკისთვის რამოდენიმე სხვადასხვა ენერგიის შემთხვევაში.



ფიგურა 39. მილში ნაწილაკის გავლისას ურთიერთქმედების საშუალო რაოდენობა მოცემული პირობებში ცენტრიდან მანძილზე, სხვადასხვა საწყისი ენერგიისთვის.


მნიშვნელოვანია მოხდეს იონიზაციის პროცესის შედეგად ანოდიდან მოხსნილი სიგნალების თვისობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების პარამეტრიზაცია. ამ მხრივ საინტერესოა სიგნალის ამპლიტუდების მაქსიმუმების განაწილების შესწავლა და მანძილზე და ენერგიაზე დამოკიდებულების ჭრილში, რადგან ამპლიტუდა სიგნალის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ფიგურა 40 - ზე წარმოდგენილია ეს განაწილება.



ფიგურა 40. სიგნალის მაქსიმალური ამპლიტუდის დამოკიდებულება მილის ცენტრიდან სხვადასხვა

მანძილზე და სხვადასხვა საწყისი ენერგიის ნაწილაკის გავლისას.


მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია ნაწილაკის გავლისას თუ რა დროში აღწევს სიგნალი თავის მაქსიმუმს. ამ დროების განაწილება მანძილის და ენერგიის მიხედვით მოყვანილია ფიგურა 41.




ფიგურა 41. გრაფიკი ასახავს დამოკიდებულებას, მილის ცენტრიდან სხვადასხვა მანძილზე ჩაფრენილი ნაწილაკისა იმ დროზე, რომელსაც სიგნალი აღწევს წარმოქმნის დაწყებიდან მაქსიმუმამდე.

შემდეგი მნიშვნელოვანი თემა ეხება სიგნალის ზღურბლის შერჩევის თემას და ჩვენს მიერ ჩატარებული მოდელირების შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ გრაფიკებზე. ექსპერიმენტულად მოვსინჯეთ თუ რა შედეგს მოგვცემდა თუკი ზღურბლად სიგნალის მაქსიმუმის 30%-ს ავიღებდით.


შემდეგ სამ გრაფიკზე პირველი წარმოდგენს სწორედ 30%-ის „წაკვეთის“ შედეგად მიღებული სიგნალის სიგანის დროის განაწილებას მანძილის და ენერგიის მიხედვით. მეორე და მესამე გრაფიკზე წარმოდგენილია თვისობრივად იგივე განაწილება თუკი ზღურბლად სამ და შვიდ ფენტოკულონს (fC) ავიღებთ, როდესაც ზღურბლად გვაქვს აღებული სამი ფენტოკულონი დარჩენილი სიგნალის სიგანის დროის განაწილება მანძილის და ენერგიის მიხედვით.



ფიგურა 42.



ფიგურა 43.



ფიგურა 44.


ფიგურა 42-44 მოცემულია სხვადასხვა ზღურბლის შემთხვევაში სიგნალის ხანგრძლივობის დამოკიდებულება მილის ცენტრიდან სხვადასხვა მანძილზე გავლილი ნაწილაკისა

ზემოთ ჩვენს მიერ ჩატარებული მოდელირება არის ნაწილი იმ სამუშაოებისა რასაც ვაპირებთ რომ მომავალში გავაკეთოთ. სამუშაოები სტროუ დეტექტორის სისტემის მოდელირებაზე გაგრძელდება და უფრო პრაქტიკული და სასარგებლო დასკვნები გაკეთდება.

### ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი

COMET ექსპერიმენტში უნდა მოხდეს 105 მევიანი ელექტრონის დიდი სიზუსტით რეგისტრაცია. ამისთვის გამოიყენება ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი, ფიგურა 45.

ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი შედგება სეგმენტირებული კრისტალებისგან, და განლაგებულია სტროუ დეტექტორების შემდეგ. კალორიმეტრს აქვს 3 მთავარი მიზანი: ელექტრონის ენერჯის გაზომვა კარგი სიზუსტით, დროითი სიგნალის მიღება, რომელიც ჩართულია ტრიგერში და ინფორმაცია ტრეკის მდებარეობის შესახებ.




ფიგურა 45. COMET ექსპერიმენტის ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი.

იმის გამო, რომ გვაქვს ფონური პროცესები კალორიმეტრის ენერგეტიკული გარჩევისუნარიანობა 105 მევიანი ელექტრონისთვის უნდა იყოს  $<5\%$ , სწრაფი, decay time  $<100\text{ns}$  (ns), რადიაციულად მყარი და სინათლის კარგვა LY  $\leq 10\%$ , 1მრად.

დეტალური კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ უდაო ფავორიტი არის LYSO კრისტალი, რომელიც იქნა შერჩეული კომეტ-ს ელექტრომაგნიტური კალორიმეტრის შესაქმნელად. კრისტალების ყველა კვლევაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ (და აგრძელებენ) ინსტიტუტის თანამშრომლები.

ძირითადი პრინციპი ნაწილაკის ენერჯის გაზომვისა კალორიმეტრში არის პროპორციულობა კალორიმეტრში შემავალ ნაწილაკსა და კალორიმეტრში გამოყოფილ ენერჯიას შორის. ენერჯის ზუსტ გაზომვაზე კალორიმეტრში გავლენას ახდენს ელექტრომაგნიტური ღვარის ფლუქტუაციები და პასიური ელემენტების სისქე და პარამეტრები, რომლებიც განლაგებულია სცინტილატორის გარშემო. რომ არ მოხდეს სიგნალების ზედდება (pileup) ამისათვის კალორიმეტრს უნდა ჰქონდეს ასევე მაღალი სეგმენტაცია და კარგი სივრცითი გარჩევისუნარიანობა. გამომდინარე აქედან კალორიმეტრი შედგება კრისტალების მოდულებისგან  $2 \times 2 \text{ სმ}^2$  კვეთით (ფიგურა 46), რომლის სიგრძე არის 12 სმ და შეესაბამება 10.5 რადიაციულ სიგრძეს. კალორიმეტრის დიამეტრი არის 50 სმ და შედგება დაახლოებით 2400 კრისტალისგან.




ფიგურა 46. კრისტალების მოდული.


ისევე როგორც 2014-2017 წლებში, ჩატარდა ტოპოკუს უნივესიტეტის 105 მევიან ელექტრონულ ნაკადზე სტროუ-ეკალის (8x8 მატრიცა, 64 კრისტალი) პტოტოტიპის კომბაინ ტესტი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები.

ტესტის მთავარი მიზანი იყო გაგვეზომა კალორიმეტრის პროტოტიპის სივრცული, დროის და ენერგიის გარჩევისუნარიანობა, ასევე სტროუ ტრეკერის იმპულსური და სივრცითი გარჩევის უნარიანობა. ტესტების დროს გამოყენებული იქნა ელექტრონების ნაკადი იმპულსებით: 62, 75, 85, 95, 105,125, 145, 165, 185 MeV/c.

ტესტებიდან მიღებული შედეგები ნაჩვენებია ფიგურა 47, 48 ენერგიის და სივრცითი გარჩევისუნარიანობა შესაბამისად.



ფიგურა 47. კალორიმეტრის ენერგეტიკული გარჩევისუნარიანობა.



ფიგურა 48. კალორიმეტრის სივრცითი გარჩევისუნარიანობა.

#### ელექტრომაგნიტური კალორიმეტრის პროტოტიპის

- ენერჯის გარჩევისუნარიანობა 105 მევიან ელექტრონზე ვარირებს **3.8%-დან 4.4%-მდე**, დამოკიდებულია პოზიციაზე.
- სივრცული გარჩევისუნარიანობა მიღებული იქნა **5.8 მმ**.

ნაკადზე ტესტირების შედეგები სრულად შეესაბამება კალორიმეტრის მიმართ მოთხოვნილ პირობებს.

#### კოსმოსური ვეტო მთვლელების სისტემა, (Cosmic Ray Veto, CRV)

2018 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომეტ ჯგუფმა გააგრძელა COMET ექსპერიმენტის CRV (Cosmic Ray Veto) დეტექტორულ სისტემის შექმნისათვის აუცილებელი R&D კვლევები<sup>1</sup>. მიმდინარე ანგარიში მოიცავს CRV სისტემის ორგანული სინტილაციური მთვლელების შესწავლისათვის ჩატარებული სამუშაოების მიმოხილვას, ასევე ერთეული CRV მთვლელის დიზაინის შემუშავებისათვის აუცილებელ საჭირო მეთოდური გაზომვების შედეგებს. აღნიშნულ R&D კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული იქნა ერთეული მთვლელის ოპტიმალური დიზაინი, რისთვისაც მთავარი ამოსავალი წერტილი იყო მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალურად ეფექტური დეტექტორული სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს ექსპერიმენტის ფუნდამენტურ მოთხოვნას CRV დეტექტორის მიმართ - მოახდინოს კოსმოსური დამუხტული ნაწილაკების რეგისტრაცია 99.99% ეფექტურობით.

კონკრეტული სამუშაოები ფოკუსირებული იყო სხვადასხვა მწარმოებლის მიერ მოწოდებული ორგანული სინტილაციური მთვლელების აბსოლუტური შუქის გამოსავლის (Light Yield, LY) შესწავლაზე, და ასევე LY პარამეტრის როგორც მანძილის ფუნქციის შესწავლა. ასევე შესწავლილი იქნა სხვადასხვა მწარმოებლის ტალღური გარდაქმნის შუქგამტარები, მათი რაოდენობა ერთეულ არხში და არხის ოპტიმალური გეომეტრიული პარამეტრების შესწავლა. აღნიშნული სამუშაოები შესრულებული იქნა შემდეგ ამოცანებად:

<sup>1</sup> 2017 წლის ანგარიში დეტალურად იყო განილული CRV სისტემის ფოტო-დეტექტორული სისტემაზე რადიაციული გავლენის შესწავლა



1. ოპტიმალური ორგანული სინტილატორის შერჩევა
2. საუკეთესო ტალღური გარდამქმნელის შერჩევა
3. შუქგარდამქმნელის ოპტიმალური რაოდენობა არხში
4. ოპტიკური წებოს შერჩევა და შეწებების ეფექტის შესწავლა
5. შუქის გამოსავალის შესწავლა
6. შუქის გამოსავალის მილევის ფუნქციის შესწავლა
7. ამრეკი მატერიალის ეფექტის შესწავლა
8. ოპტიმალური ამრეკლი მატერიალის დადგენა
9. შუქგარდამქმნელისა და ფოტო დეტექტორის ოპტიკური გადამბის მექანიზმის შემუშავება

### **COMET ექსპერიმენტის კოსმოსური დამუხტული ნაწილაკების რეგისტრაციის სისტემა**

კოსმოსური მიონი (Cosmic Ray Muon, CRM) შეიძლება დაიშალოს კოსმოსიდან ექსპერიმენტალური დანადგარის მიმართულებით ფრენის დროს, ან შესაძლებელია მოხდეს CRM ის ენერგიის კარგვა ექსპერიმენტის შემადგენელ მატერიალში გავლისას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მიონის ენერგიის უძრავობის ენერგიამდე შემცირება და მოხდეს ელექტრონად დაშლა. ეს ორივე პროცესი გვამდებს საძიებელი სიგნალის მსგავს ხელწერას ექსპერიმენტალურ დანადგარში და წარმოშობს ბუნებრივ ფონს სასიგნალო არხისათვის. იმისთვის რომ მოხდეს საძიებო სიგნალის ეფექტურად დამზერა აუცილებელია შემუშავებულ იქნას სპეციალური დეტექტორული სისტემა რომელიც CRM ფონის შეზღუდვას მოახდენს  $10^4$ -ჯერ.

COMET ექსპერიმენტის ფაზა -1 ორი ტიპის მეთოდი იქნება გამოყენებული CRM ფონის წინააღმდეგ - *პასიური* დაცვა და *აქტიური* დაცვა. პასიური დაცვისათვის გამოყენებულ იქნება ბეტონის, პოლიეთილენის, ტყვიისა და რკინის კომპოზიციური ფენა რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს კოსმოსური ფონის სიხშირეს სამიზნეზე და სამიზნის გარშემო განლაგებული სიგნალის დეტექტირების სისტემისთვის. ასეთი ტიპის პასიური დაცვა გათვლილია დაბალი კუთხის CRM ებისთვის. მაღალი კუთხის CRM ების მილევა და სიხშირის მინიმუმამდე დაწევა ხდება ექსპერიმენტის გარშემო არსებული მრავალკილომეტრიანი ქანების მიერ, რაც განპირობებულია იმ ფაქტით რომ ექსპერიმენტი მდებარეობს მიწის ქვეშ სპეციალურად შექმნილ ექსპერიმენტალურ დარბაზში.

აქტიური დაცვა განხორციელებული იქნება ზემგრძნობიარე და მაღალეფექტური დეტექტორული სისტემის მუშაობით, რომლითაც დაფარული იქნება ექსპერიმენტის სამიზნე დისკები და ცილინდრული დეტექტორული სისტემა (CyDet). მოდელირების დეტალურმა კვლევებმა აჩვენა რომ ნაკადის დეტექტორის წინა გადამყვანი სოლენოიდის (Bridge Solenoid, BS) დაფარვა ასევე აუცილებელია აქტიური CRV სისტემით, რათა მოხდეს ისეთი ფონური ხდომილებების აქტიური შეზღუდვა რომელიც წარმოიქმნება CRM ის ერთიერთქმედებით სოლენოიდთან, რაც წარმოქმნის ელექტრონს რომელიც შეიძლება გაიზნეს და მოხვდეს CyDET ნაწილში, რომელიც შეიძლება დაფიქსირებული იქნას როგორც სიგნალის მსგავსი ხდომილება. იმის გამო რომ BS არეში ნეოტრონების რადიცია არის გაცილებით მაღალი ვიდრე CyDET არეში - განიხილება რომ მაღალი რადიაციის ფონის მქონე არე დაიფაროს მინის რეზისტული შრიანი კამერებით და დაბალი ნეიტრონების ფონის არე დაიფაროს სინტილაციურ მთვლელებზე დაფუძნებული დეტექტორული სისტემით.


### **სინტილაციურ მთვლელებზე დაფუძნებული კოსმოსური სხივების ვექტო სისტემა**

CyDET CRV სისტემა შედგება ოთხი აქტიური შრისაგან, რომლის ბაზური ელემენტი არის  $0.7 \times 4 \times 360$  სმ<sup>3</sup> კვეთის მქონე სტრიპი, რომელიც დამზადებულია პოლისტიროლის ბაზაზე შექმნილი ორგანული პლასტიკური სინტილატორისგან. შესაბამისად ორგანულ სინტილატორზე დაფუძნებულ CRV სისტემას

შემდეგში მოვიხსენიებთ SCR (Scintillator based Cosmic Ray Veto) სახელით.

### სინტილატორი და შუქის ტრანსპორტირება

SCRV სისტემის ერთეული არხის ზოგადი დიზაინი და მის მიერ დამუხტული ნაწილაკის რეგისტრაციის პრინციპი ნაჩვენებია ფიგ.49.-ზე. ერთეულ სინტილაციურ მთვლელს აქვს კვადრატული ფორმა  $0.7 \times 4$  სმ<sup>2</sup> კვეთით, მისი სიგრძე კი მერყეობს 300 სმ დან 360 სმ მდე. როგორც უკვე ავლინებთ ის დამზადებულია 98% პოლისტირონის (Styron 143E) მასალისაგან, რომელიც მოქმედებს როგორც იონიზაციური ასევე შუქგამტარი გარემო.




ფიგ. 49. SRCV ერთეული არხის კონცეპტუალური დიზაინი და სინტილაციური ფოტონების დეტექტირების მექანიზმი.

2% ს შეადგენს ფლურესენსიული მატერიალი p-terphenyl და 0.05% ს ასევე ფლურენი POPOP ი. იმის გამო რომ თავდაპირველი იონიზაციური ფოტონები არიან მოკლე ტალის სიგრძის მქონე, რის გამოც ხდება მათი აქტიური შთანთქმა სინტილაციური გარემოს მიერ, ასეთი სინათლის მიღვევის ტალღის სიგრძე არის რამოდენიმე სმ, რაც ძალზედ დიდი პრობლემაა დიდი ზომის სინტილაციური მთვლელების შემთხვევაში. აღნიშნული ფლურესენსიული დანამატები ახდენს თავდაპირველი იონიზაციური ფოტონების ტალღის სიგრძის გარდაქმნას ულტრაიისფერიდან ლურჯ დიაპაზონში და ამრიგად ხელს უწყობენ შუქის მიღვევადობის კოეფიციენტის გაზრდას (იხ. გამოსახულება 1).

$$L(X) = L_0 e^{(-X/I)}$$

**გამოსახულება 1.** სინტილაციური შუქის მიღვევა არის ექსპონენციალური პროცესი. გამოსახულებაში  $L(X)$  არის ფოტონების ინტენსივობა ნაწილაკის სინტილატორთან ურთიერთქმედების ადგილიდან  $X$  დისტანციაზე,  $L_0$  არის ფოტონების თავდაპირველი რაოდენობა,  $I$  მიღვევის სიგრძე.

p-terphenyl ახდენს თავდაპირველი UV ფოტონების აბსორბციას და ასხიხივებს 300-400 ნმ ტალღის სიგრძის ფოტონებს, ხოლო POPOP ის მეორად ფოტონებს კიდევ ერთხელ უცვლის ტალღის სიგრძეს და გადაჰყავს 380-490 ნმ ტალღის სიგრძეში (იხ. ფიგურა 50).



ფიგურა 50. P-Terphenyl ისა და POPOP ის აბსორბციისა და გამოსხივების სპექტრები

ფოტონები რომლებიც მოძრაობენ სრული შიდა არეკვლის კუთხზე დიდი კუთხით, შიშველი სინტილატორის შემთხვევაში ტოვებენ სასიგნალო სტრიპს, იმისათვის რომ მოხდეს ამ კატეგორიის სინტილაციური ფოტონების უკან არეკვლა, სტრიპი დაფარულია ტიტანიუმის დიოქსიდით (TiO2). TiO2 ახდენს მსგავსი ფოტონების უკან არეკვლას დიფუზიური გზით.


SCRV სტრიპიდან სინტილაციური ფოტონების ფოტო დეტექტორამდე ტრანსპორტირება ხდება ტალღის სიგრძის წამნაცვლებელი ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენით (Wave Length Shifter fiber, WLS). WLS ახდენს სინტილაციური ლურჯი ფოტონების გარდაქმნას მწვანე სპექტრში (იხ. ფიგურა 51) და ამით არსებითად იზრდება შუქის მილევის კოეფიციენტი რამოდენიმე ათეული სანტიმეტრიდან რამოდენიმე მეტრამდე. WLS ფაიბერი განთავსებულია სინტილაციური სტრიპის ზედაპირზე არსებულ კვადრატული კვეთის მქონე გასწვრივ ღარში. R&D ი სამუშაოების განმავლობაში მრავალი სხვადასხვა ზომის ღარის შემოწმება მოხდა. გაზომვებით დადგინდა რომ ოპტიმალური ღარის პარამეტრები 1.2 სმ<sup>2</sup> დიამეტრის ფაიბერისთვის არის 1.5 x 3.5 სმ<sup>2</sup>. გაზომვებმა ასევე აჩვენეს რომ კარგი ოპტიკური კონტაქტი სინტილატორსა და ფაიბერს შორის 50% ით ზრდის შუქის გამოსავალს. ჩვენს მიერ გამოცდილ იქნა სხვადასხვა ოპტიკური წებო და გამოვლინდა მაღალეფექტური მატერიალი BC600 ბაიკრონის ოპტიკური ცემენტი, როგორც საუკეთესო ოპტიკური კონტაქტის წარმომშობი ფაიბერსა და სტრიპს შორის, რაც განპირობებულია იმით რომ BC600 გარდადების ინდექსი მაქსიმალურად ახლოსაა ფაიბერისა და სინტილატორის გარდატეხის ინდექსებთან.

WLS ფაიბერი	გამოსხივების ფერი	გამოსხივების პიკი	დაშლის დრო (ნწ)	მილევის სიგრძე (მ)
BICORON BC91A	მწვანე	494	12	> 3.5
BICORON BC92	მწვანე	492	2.7	> 3.5
Kuraray Y11	მწვანე	476	9	> 3.5

**ცხრილი 1. ლაბორატორიულად გაზომილი WLS ფაიბერების ძირითადი ფიზიკური მახასიათებლები**

SCRV ერთეული სინტილაციური დეტექტორისათვის ბაზარზე არსებულ მრავალ წარმოებელს შორის შეირჩა Kuraray ისა და Saint-Gobain ის სხვადასხვა ტიპის WLS ფაიბერები შემდგომი კვლევებისათვის. 2018

წლის წინასწარი კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შერჩეული იქნა Kuraray – ს 1.2 მმ დიამეტრის მქონე მრავალამრეკლ შრიანი WLS ფაიბერი. კანდიდატი WLS ფაიბერების ძირითადი ფიზიკური მახასიათებლები ნაჩვენებია ცხრილი 1 ში.



ფიგურა 51. SCRVმთველისათვის წინასწარ შერჩეული კანდიდატი WLS ფაიბერების შთანთქმისა და გამოსხვივების სპექტრები. მარცხნივ - Kuraray<sup>2</sup> ის სპექტრი, მარჯვნივ BICRON<sup>3</sup> ის სპექტრი.

გამოცდილ WLS ფაიბერეს შორის Kuraray Y11 მა აჩვენა 30% ით მაღალი შუქის ტრანსპორტირება სინტილატორიდან ფოტო-დეტექტორამდე, რადგანაც დეტექტორს მოეთხოვება მიონების დეტექტირების მაღალი ეფექტურობა, ეფექტურობის სიდიდე კი თავისთავად პირდაპირპროპორციულია LY სიდიდესთან - Y11 განისაზღვრა როგორც უპირობო კანდიდატი SCRV დიზაინისთვის.


WLS ფაიბერის ორივე ბოლოდან სინტილაციური ფოტონების წაკითხვა ხდება სილიკონის ფოტო გამამრავლებელი დეტექტორების მიერ (Silicon Photo Multiplied (SiPM)). ერთი და იგივე სასიგნალო არხის ორმაგი (ორი ბოლოდან) წაკითხვას გააჩნია მრავალი პრივილეგია: 1. მარჯვენა და მარცხენა SiPM ემების თანხვედრა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ტრიგერის ლოგიკაში, რაც მინიმუმამდ დაიყვანს შემთხვევითი თვლების ხდომილებებს 2. შესაძლებლობა გვეძლევა განვსაზღვროთ ნაწილაკის სინტილატორთან ურთიერთქმედების კორდინატი სინტილატორის გასწვრივ, რომელიც განხორციელდება დროითი სხვაობის გამოთვლით მარჯვენა და მარცხენა სიგნალს შორის. მაღალგარჩევისუნარიანი TDC (Time to Digital Cinverte) შემთხვევაში შესაძლებელია დადგინეს ურთიერთქმედების გასწვრივი კოორდინატი რამოდენიმე მილიმეტრის სიზუსტით, გასწვრივი გრანულაციის თავის არიდებით, რაც დამატებით ხარჯებთან და სირთულეებთანაა დაკავშირებული. მაღალი დროითი და სივრცული გარჩევისუნარიანობა გვაძლავს საშუალებას SCRV სისტემა გამოყენებული იქნას არა მხოლოდ გლობალური veto სისტემა არამედ იმუშაოს როგორც tag and count სისტემამ. ამ თვისების გამო შესაძლებლობა გვეძლევა მივაღწიოთ CRM ფონის სიგნალისგან ჩამოჭრის არაეფექტურობა შევამციროთ  $10^{-4}$  მდე და ქვემოთ.

იმისათვის რომ SiPM დეტექტორი ეფექტურად იქნას შეწყვილებული WLS ფაიბერთან, GTU COMET საინჟინერო ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა სპეციალური სამაგრი მოწყობილობა (იხ ფიგურა 52). სამაგრი მოწყობილობა შედგება ორი კაპსულისაგან. კაპსულა რომელიც ახდენს ფაიბერის ცენტრირებას გააჩნია კვადრატული ფორმის ფუძე და ცილინდრული ცხვირი. ხოლო SiPM ის სამაგრი კაპსულა არის მთლიანად ცილინდრული ფორმის და გერსეცმევა WLS ფაიბერის ფიქსატორ კაპსულას. SiPM ის საჭერ კაპსულას გარეთა პერიმიეტრზე გააჩნია სპეციალური კბილი, რისი როლიც არის მოახდინოს გარე კაპსულის ჩაკეტვა სპეციალურ ჭრილში და ხელი შეუშალოს მის გადაადგილებას როგორც ფაიბერის შემხვედრი ისე საპპირისპირო მიმართულებით. ეს გადაწყვეტილება არის ძალზედ მნიშვნელოვანი რათა არ მოხდეს როგორც ფოტო დეტექტორის მექანიკური დაზიანება WLS ფაიბერთან შეჯახების შემთხვევაში

<sup>2</sup> <http://kuraraypsf.jp/psf/ws.html>

<sup>3</sup> <https://www.crystals.saint-gobain.com/sites/imdf.crystals.com/files/documents/fiber-brochure.pdf>

ასევე რომ არ მოხდეს მისი დაშორება ფაიბერიდან, რასაც მოჰყვება ოპტიკური კონტაქტის შესუსტება ანდაც საერთოდ დაკარგვა. სამაგრი კაპსულები მთლიანად ჩამაგრებულია სინტილატორული სტრიპის ბოლოებში არსებულ სპეციალური გეომეტრიის მქონე ამონაკვეთებში.



ფიგურა 52. SiPM ის WLS ფაიბერთან ოპტიკური შეწყვილების მექანიზმი. მარცხენა ფიგურაზე ნაჩვენებია: 1. სინტილატორული სტრიპი შესაბამისი გეომეტრიული ამონაკვეთებით სამაგრი კაპსულებისთვის, 2 WLS ფაიბერის სამაგრი კაპსულა, 3 SiPM ნახევარგამტარული ფოტო დერექტორი, 4 SiPM ის სამაგრი კაპსულა, ფიქსატორი კბილით. მარჯვენა ფიგურაზე ნაჩვენებია სრულად აწყობილი ოპტიკური შეწყვილების მექანიზმი.

თავდაპირველად განიხილებოდა განიერი სინტილაციური სტრიპის დიზაინი საიდანაც სინტილაციური შუქის წაკითხვა უნდა მომხდარიყო ორი ფაიბერთ, თუმცა ლაბორატორიული გაზომვების შედეგად გამოვლინდა ვიწრო (4 სმ სიგანის) სტრიპის მრავალი უპირატესობა:

- MIP (Minimum Ionizing Particle) ის სინტილაციური შუქის გაყოფა არ ხდება მრავალ პარალელულ ფაიბერს შორის რაც ამცირებს ეფექტურობას.
- ფოტონის არეკვლების რიცხვში ვიწრო სტრიპში გაცილებით ნაკლებია ვიდრე WLS ფაიბერს მიაღწევს, შედეგად შუქის გამოსავალი და მასთან დაკავშირებული ეფექტურობა საგრძნობლად მაღალია.
- პრობლემის შემთხვევაში მთლიანი დეტექტორის მხოლოდ მცირე ნაწილი შეიძლება იყოს არაეფექტური.
- დროითი გარჩევისუნარიანობა ვიწრო სტრიპის შემთხვევაში გვაქვს 1 ნანოწამის რიგის.

#### SCRV მოდული და SCRV შრე

CRV სისტემა შედგება 4 სინტილაციური დეტექტორული შრისაგან, თვითნებური შრე შედგება პარალელურად განთავსებული SCRV მოდულებისაგან.


SCRV მოდულის ბაზურ კომპონენტს წარმოადგენს ზემოთ აღწერილი ერთეული სინტილაციური მთვლელი, 15 სტრიპი ზედმიწევნით მიჯრით განთავსებულია სამაგრ დაფაზე ერთმანეთის პარალელურად. სამაგრი დაფა წარმოადგენს 0.6 მმ სისქის ალუმინის ფირფიტას, რომელიც ერთი მხრიდან დაფარულია 0.5 მმ ის სისქის მქონე ორმაგზედაპირიანი წებოვანი შრით (double side adhesive tape). სტრიპების სამაგრ დაფაზე დიდი სიზუსტით განთავსების სემდეგ ისინი ბუნებრივად არიან დაფაზე დამაგრებული წებვადი შრის გამო. სტრიპები ზემოთა მხრიდან ასევე იფარება იგივე ტიპის ალუმინის დაფით და ხდება სისტემის

ერთგვარი ენკაპსულაცია და ამ გზით ვიღებთ SCRV ერთეულ მოდულს, რომლის გვერდების დაცვაც ხდება 1 მმ სისქის მქონე უჟანგავი მეტალის U ფორმის ჩაჩით (იხ ფიგურა 53). ამგვარად მოდული გამოდის მინუმალური წონის მქონე მყარი სისტემა, მეტალის ენკაპსულაცია კი უზრუნველყოფს როგორც მექანიკურ დაცვას და მედეგობას, ასევე მოქმედებს როგორც სინათლის იზოლაციური რაც აუცილებელი კომპონენტია მსგავსი ტიპის დეტექტორებისათვის.



ფიგურა 13. SCRV მოდულის ზოგადი დიზაინი (მარცხნივ) და მოდულის კვეთა (მარჯვნივ). კვეთაში ჩანს ერთმანეთის პარალელური სინტილაციური მთვლელები, 3.5 მმ იანი ღარით და WLS ფაიბერთ, რომელიც ზემოდან და ქვემოდან დაცულია ალუმინის დაფებით. სტრიპის ალუმინის დაფებთან მექანიკურ მდგრადობას უზრუნველყოფს 0.5 მმ სისქის წებოვანი შრე. მოდულის გვერდები დაფარული U ფორმის ჩაჩით.


როგორც უკვე ავლინებთ SCRV შრე შედგება რამოდენიმე პარალელური მოდულისაგან, მთლიანად გამოყენებული იქნება 4 შრე. შრეებს შორის სტრიპები ერთმანეთის მიმართ მონაცვლეობით წანაცვლებულია 2 სანტიმეტრით, იმისათვის რომ თავიდან ავირიდოთ სტრიპებს შორის ან მოდულებს შორის არსებული ე.წ. მკვდარი ზონების ვერტიკალური განლაგება. შესაბამისად მიონის CRV დეტექტორში გავლისას აუცილებლად შემხებლობაში მოვა მინიმუმ 2 აქტიურ შრესთან (იხ ფიგურა 54).



ფიგურა 54. CRV სინტილაციური დეტექტორის აქტიური შრეები და მისი კვეთა.

SCRV მატერიალების სელექცია


დღეს დღეობით მრავალი საშენი მასალა არსებობს მსოფლიო ბაზარზე SCRვ დეტექტორის წარმატებით განხორციელებისათვის. იმისათვის რომ მიღწეული იქნას სასურველი ფიზიკური შედეგი მცირე დანახარჯებით, აუცილებელია პერსპექტიული კანდიდატი მასალების ექსპერიმენტალური გამოცდა სხვადასხვა მახასიათებლებზე. ამ მიზნით ლაბორატორიულად შეიქმნა რამოდენიმე სხვადასხვა დიზაინის მქონე SCRვ ერთეული არხის ნიმუში, ნიმუშებს შორის ცვლადის სახით იყო როგორც შუქგამტარი ფაიბერი, ასევე ფაიბერის ოპტიკური არხის გეომეტრიული ზომა, არხების რაოდენობა, სინტილაციური და ამრეკლი მასალა. ნიმუშების გამოზრდა მოხდა კოსმოსურ მიონებზე სპეციალურად შემუშავებული თანხვედრის სქემის გამოყენებით.



ფიგურა 55. ნიმუშების გამოსაცდელი შავი ყუთი

გაზომვებისათვის სპეციალურად დამზადდა შუქგამტარი ე.წ. შავი ყუთი (ფიგურა 55), რომელიც აღჭურვილია  $3 \times 3 \times 3$  სმ<sup>3</sup> ტრიგერული სინტილატორით, რომლის წაკითხვაც ხდება ორი დამოუკიდებელი კლასიკური ფოტო გამამრავლებელი ვაკუუმური მილაკით (PMT - Hamamatsu R647). PMT ანოდიდან მოხსნილი სიგნალი მიერთებულია NIM ის სტანდარტის წინასწარ გამაძლიერებელთან, გაძლიერების კოეფიციენტით 10. რის შემდეგაც ხდება სიგნალების დისკრიმინირება და თანხვედრის წრედში ჩართვა, თანხვედრის სიგნალი მიეწოდება CAEN ის 5GS/s დიჯიტაიზერს.

12 ბიტაიანი დიჯიტაიზერი CAEN DT5742 დაფუძნებულია “domino ring sampling” მიკროპროცესორზე DSR4 ზე, რომელიც ახდენს ანალოგური იმპულსების მაღალი სიზუსტით გადაყვანას ციფრულ მნიშვნელობებში. დიჯიტაიზერის სურათი და ტიპური ანალოგიური იმპულსი ერთ ერთი გამოსაცდელი ნიმუშიდან ნაჩვენებია ფიგურა 56 ზე.



ფიგურა 56. CAEN ის ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელი და სტანდარტული იმპულსის სახე ერთ-ერთი საცდელი ნიმუშიდან.

მთლიანობაში გაიზომა დაახლოებით 25 ერთეული SCRვ ერთეული არხის სხვადასხვა დიზაინის მქონე

ნიმუში, გაზომვის შედეგები რომელზეც დაფუძნებულია COMET ექსპერიმენტის SCR-V სისტემა მოცემულია ცხრილში 2 ში.

ნიმუში	შუქის გამოსავალი (არბიტრალურ ერთეულში)
1.5 x 1.6 მმ <sup>2</sup> არხის ზომა	194.5
1.5 x 3.5 მმ <sup>2</sup> არხის ზომა	220.1 (+13%)
1 WLS ფაიბერი	194.5
2 WLS ფაიბერი	243.3 (+25%)
3 WLS ფაიბერი	267.3 (+10%)
BC408 სინტილატორი	194.5
UniPlast სინტილატორი	146.6 (-46%)
TiO <sub>2</sub> ამრეკლი	111.6
ალუმინიზირებული მაილარი	124.4 (+11%)

ცხრილი 2. ნიმუშების გაზომვების წინასწარი შედეგები არბიტრალურ ერთეულში

როგორც ცხრილი 2 დან ჩანს, WLS არხის სიღრმეს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სინათლის გამოსავალზე. ასევე ირკვევა რომ მოცემულ სინტილატორში 2 ფაიბერით წაკითხული სინათლის სიდიდე 25% ით მაღალია 1 არხიან დიზაინთან შედარებით, მე 3 ე WLS დამატება გვაძლევს 10% ით მაღალ შუქის გამოსავალს თუმცა ამ შემთხვევაში დანახარჯი მკვეთრად იზრდება. სინტილატორული მატერიალის მწარმოებლებს შორის აღმოჩნდა მნიშვნელოვანი სხვაობა ხარისხში, Saint-Gogain ის BC408 სინტილატორი გვაძლევს 46% ით მეტ სინტილაციურ შუქს ვიდრე რუსული წარმოების UniPlast ი, თუმცადა უნდა აღინიშნოს რომ ბაიკრონის სინტილატორი 3 ჯერ აღემატება ფასში მის კომპურენტ ანალოგს, აქედან გამომდინარე შემდგომი დიზაინისთვის შევჩერდით UniPlast ზე. გაზომვებმა აჩვენეს გარკვეული სხვაობა ამრეკ მასალებს შორის, საუკეთესო ორი ამრეკლი მასალა გამოვლინდა, ტიტანიუმის დიოქსიდი და ალიმინიზირებული მაილარი, იმის გამო რომ შუქის გამოსავალში არ არის არსებითი სხვაობა შერჩეულ იქნა TiO<sub>2</sub> რომელიც გაცილებით მოხერხებულია მასიური წარმოებისა და დეტექტორის აწყობის თვალსაზრისით.

### დასკვნა

2018 წლის განმავლობაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის COMET ჯგუფმა ჩაატარა მნიშვნელოვანი გაზომვები, რომლებიც საფუძვლად ედებოდა CVR დეტექტორული სისტემის ზოგად დიზაინს. წინასწარი შედეგების მიხედვით საუკეთესო დიზაინი ფასი ხარისხის გათვალისწინებით არის UniPlast სინტილატორი, დაფარული TiO<sub>2</sub> ამრეკლით, გააჩნია 1 WLS ფაიბერი რომელიც განთავსებულია 1.5 x 3.5 სმ<sup>2</sup> კვეთის მქონე არხში, სინტილატორსა და WLS ფაიბერს შორის ოპტიკური და მექანიკური კონტაქტი უზრუნველყოფილია BC600 ოპტიკური ცემენტით. შემუშავებულია WLS ფაიბერისა და SiPM ის ოპტიკური შეწყვილების მექანიზმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ნებისმიერ მომენტში მოხდეს ფოტოდეტექტორთან ფიზიკური ჩარევა. გაზომვების შედეგები გატანილი იქნა საერთაშორის



კონფერენციაზე CM26 ზე 2018 წლის ოქტომბერში.

## 2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

### 2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	COMET საერთაშორისო თანამშრომლობის ვორკშოპი - CM26 ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა COMET VG-ISE-18-794		არსენ ხვედელიძე, პროექტის ხელმძღვანელი ირაკლი ლომიძე პროექტის კოორდინატორი გიორგი ადამოვი, ძირითადი მონაწილე იური ბაღათურია ძირითადი მონაწილე დავით ლომიძე, ძირითადი მონაწილე სოსო გოგილიძე, ძირითადი მონაწილე ზვიად წამალაიძე, ძირითადი მონაწილე ნიკოლოზ წვერავა, ძირითადი მონაწილე
<p>დასრულებული კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>ვორკშოპზე გაკეთდა მოხსენებები კოლაბორაციის მიერ ბოლო პერიოდში მიღწეული შედეგების შესახებ. განხილული იქნა პრობლემები და დასახული იქნა მათი გადაწყვეტის გზები.</p> <p>ვორკშოპის პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პლენარულ და პარალელურ სესიებს, რომლებიც მიემდგვნა პრეზენტაციებს და დისკუსიებს, ახალი ტენდენციებს ტრეკულ დეტექტორებში და კალორიმეტრიაში, ასევე ახალი ტექნოლოგიებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ უპრეცედენტო ინტენსივობის მუონების ნაკადი. ასევე კოლაბორაციის საბჭოზე განხილული იქნა კოლაბორაციის სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხები, მათ შორის კოლაბორაციის ურთიერთობა საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან. დასახული იქნა კოლაბორაციის უახლოესი მომავლის გეგმები, ამოცანები და აქტივობები.</p>			

## 5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიגיტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1)	CMS Collaboration	<u>Evidence for the associated production of a single top quark and a photon in proton-proton collisions at <math>\sqrt{s} = 13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1103/PhysRevLett.121.221802">10.1103/PhysRevLett.121.221802</a>	Published in Phys.Rev.Lett. 121 (2018) no.22, 221802  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1808.02913">arXiv:1808.02913</a> [hep-ex]	APS – America	18
2)	CMS Collaboration	<u>Search for physics beyond the standard model in high-mass diphoton events from proton-proton collisions at <math>\sqrt{s} = 13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1103/PhysRevD.98.092001">10.1103/PhysRevD.98.092001</a>	Published in Phys.Rev. D98 (2018) no.9, 092001  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1809.00327">arXiv:1809.00327</a> [hep-ex]	APS – America	26
3)	CMS Collaboration	<u>Observation of Higgs boson decay to bottom quarks</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1103/PhysRevLett.121.121801">10.1103/PhysRevLett.121.121801</a>	Published in Phys.Rev.Lett. 121 (2018) no.12, 121801  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1808.08242">arXiv:1808.08242</a> [hep-ex]	APS – America	20
4)	CMS	<u>Searches for pair production of</u>	Published in JHEP	Germany, Berlin,	49

	Collaboration	<u>charginos and top squarks in final states with two oppositely charged leptons in proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP11(2018)079">10.1007/JHEP11(2018)079</a>	1811 (2018) 079  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1807.07799">arXiv:1807.07799</a> [hep-ex]	Springer	
5)	CMS Collaboration	<u>Measurements of the differential jet cross section as a function of the jet mass in dijet events from proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP11(2018)113">10.1007/JHEP11(2018)113</a>	Published in JHEP 1811 (2018) 113  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1807.05974">arXiv:1807.05974</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	41
6)	CMS Collaboration	<u>Search for supersymmetry in events with a <math>\tau</math> lepton pair and missing transverse momentum in proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP11(2018)151">10.1007/JHEP11(2018)151</a>	Published in JHEP 1811 (2018) 151  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1807.02048">arXiv:1807.02048</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	62
7)	CMS Collaboration	<u>Measurement of charged particle spectra in minimum-bias events from proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1140/epjc/s10052-018-6144-y">10.1140/epjc/s10052-018-6144-y</a>	Published in Eur.Phys.J. C78 (2018) no.9, 697  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1806.11245">arXiv:1806.11245</a> [hep-ex]	Springer – Germany, Berlin	39
8)	CMS Collaboration	<u>Search for the decay of a Higgs boson in the <math>\ell\ell\gamma</math> channel in proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP11(2018)152">10.1007/JHEP11(2018)152</a>	Published in JHEP 1811 (2018) 152  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1806.05996">arXiv:1806.05996</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	40
9)	CMS	<u>Search for dark matter produced in</u>	Published in JHEP	Germany, Berlin,	47

	Collaboration	<u>association with a Higgs boson decaying to <math>\gamma\gamma</math> or <math>\tau^+\tau^-</math> at <math>\sqrt{s} = 13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP09(2018)046">10.1007/JHEP09(2018)046</a>	1809 (2018) 046  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1806.04771">arXiv:1806.04771</a> [hep-ex]	Springer	
10)	CMS Collaboration	<u>Observation of the <math>Z \rightarrow \psi\ell^+\ell^-</math> decay in pp collisions at <math>\sqrt{s} = 13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1103/PhysRevLett.121.141801">10.1103/PhysRevLett.121.141801</a>	Published in Phys.Rev.Lett. 121 (2018) no.14, 141801  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1806.04213">arXiv:1806.04213</a> [hep-ex]	APS – America	17
11)	CMS Collaboration	<u>Search for resonant pair production of Higgs bosons decaying to bottom quark-antiquark pairs in proton-proton collisions at 13 TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP08(2018)152">10.1007/JHEP08(2018)152</a>	Published in JHEP 1808 (2018) 152  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1806.03548">arXiv:1806.03548</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	34
12)	CMS Collaboration	<u>Search for a singly produced third-generation scalar leptoquark decaying to a <math>\tau</math> lepton and a bottom quark in proton-proton collisions at <math>\sqrt{s} = 13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP07(2018)115">10.1007/JHEP07(2018)115</a>	Published in JHEP 1807 (2018) 115  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1806.03472">arXiv:1806.03472</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	39
13)	CMS Collaboration	<u>Search for Higgs boson pair production in the <math>\gamma\gamma b\bar{b}</math> final state in pp collisions at <math>\sqrt{s} = 13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1016/j.physletb.2018.10.056">10.1016/j.physletb.2018.10.056</a>	Published in Phys.Lett. B788 (2019) 7-36  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1806.00408">arXiv:1806.00408</a>	Netherland, Elsevier	30

			[hep-ex]		
14)	CMS Collaboration	<u>Search for beyond the standard model Higgs bosons decaying into a <math>bb</math> pair in pp collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP08(2018)113">10.1007/JHEP08(2018)113</a>	Published in JHEP 1808 (2018) 113  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1805.12191">arXiv:1805.12191</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	43
15)	CMS Collaboration	<u>Constraints on models of scalar and vector leptoquarks decaying to a quark and a neutrino at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1103/PhysRevD.98.032005">10.1103/PhysRevD.98.032005</a>	Published in Phys.Rev. D98 (2018) no.3, 032005  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1805.10228">arXiv:1805.10228</a> [hep-ex]	APS – America	20
16)	CMS Collaboration	<u>Search for an exotic decay of the Higgs boson to a pair of light pseudoscalars in the final state with two b quarks and two <math>\tau</math> leptons in proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1016/j.physletb.2018.08.057">10.1016/j.physletb.2018.08.057</a>	Published in Phys.Lett. B785 (2018) 462  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1805.10191">arXiv:1805.10191</a> [hep-ex]	Netherland, Elsevier	42
17)	CMS Collaboration	<u>Measurement of the production cross section for single top quarks in association with W bosons in proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP10(2018)117">10.1007/JHEP10(2018)117</a>	Published in JHEP 1810 (2018) 117  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1805.07399">arXiv:1805.07399</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	37
18)	CMS Collaboration	<u>Search for black holes and sphalerons in high-multiplicity final states in proton-proton collisions at</u>	Published in JHEP 1811 (2018) 042	Germany, Berlin, Springer	47

		<u><math>s\sqrt{=13}</math> TeV</u>			
		DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP11(2018)042">10.1007/JHEP11(2018)042</a>	e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1805.06013">arXiv:1805.06013</a> [hep-ex]		
19)	CMS Collaboration	<u>Search for top squarks decaying via four-body or chargino-mediated modes in single-lepton final states in proton-proton collisions at <math>s\sqrt{=13}</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP09(2018)065">10.1007/JHEP09(2018)065</a>	Published in JHEP 1809 (2018) 065  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1805.05784">arXiv:1805.05784</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	44
20)	CMS Collaboration	<u>Measurement of the groomed jet mass in PbPb and pp collisions at <math>s\sqrt{NN}=\sqrt{=5.02}</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP10(2018)161">10.1007/JHEP10(2018)161</a>	Published in JHEP 1810 (2018) 161  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1805.05145">arXiv:1805.05145</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	35
21)	CMS Collaboration	<u>Search for an exotic decay of the Higgs boson to a pair of light pseudoscalars in the final state of two muons and two <math>\tau</math> leptons in proton-proton collisions at <math>s\sqrt{=13}</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP11(2018)018">10.1007/JHEP11(2018)018</a>	Published in JHEP 1811 (2018) 018  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1805.04865">arXiv:1805.04865</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	35
22)	CMS Collaboration	<u>Observation of <math>t\bar{t}H</math> production</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1103/PhysRevLett.120.231801">10.1103/PhysRevLett.120.231801</a> , <a href="https://doi.org/10.1130/PhysRevLett.120.231801">10.1130/PhysRevLett.120.231801</a>	Published in Phys.Rev.Lett. 120 (2018) no.23, 231801  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1804.02610">arXiv:1804.02610</a> [hep-ex]	APS – America	17

23)	CMS Collaboration	<u>Search for a new scalar resonance decaying to a pair of Z bosons in proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP06(2018)127">10.1007/JHEP06(2018)127</a>	Published in JHEP 1806 (2018) 127  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1804.01939">arXiv:1804.01939</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	50
24)	CMS Collaboration	<u>Search for <math>t\bar{t}H</math> production in the all-jet final state in proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP06(2018)101">10.1007/JHEP06(2018)101</a>	Published in JHEP 1806 (2018) 101  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1803.06986">arXiv:1803.06986</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	46
25)	CMS Collaboration	<u>Evidence for associated production of a Higgs boson with a top quark pair in final states with electrons, muons, and hadronically decaying <math>\tau</math> leptons at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP08(2018)066">10.1007/JHEP08(2018)066</a>	Published in JHEP 1808 (2018) 066  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1803.05485">arXiv:1803.05485</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	50
26)	CMS Collaboration	<u>Measurements of differential cross sections of top quark pair production as a function of kinematic event variables in proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP06(2018)002">10.1007/JHEP06(2018)002</a>	Published in JHEP 1806 (2018) 002  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1803.03991">arXiv:1803.03991</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	56
27)	CMS Collaboration	<u>Search for a heavy resonance decaying into a Z boson and a vector boson in the <math>\nu\nu^{--}qq^{--}</math> final state</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP07(2018)075">10.1007/JHEP07(2018)075</a>	Published in JHEP 1807 (2018) 075  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1803.03838">arXiv:1803.03838</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	34

28)	CMS Collaboration	<u>Measurement of the inelastic proton-proton cross section at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP07(2018)161">10.1007/JHEP07(2018)161</a>	Published in JHEP 1807 (2018) 161  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1802.02613">arXiv:1802.02613</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	30
29)	CMS Collaboration	<u>Search for dark matter in events with energetic, hadronically decaying top quarks and missing transverse momentum at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP06(2018)027">10.1007/JHEP06(2018)027</a>	Published in JHEP 1806 (2018) 027  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1801.08427">arXiv:1801.08427</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	52
30)	CMS Collaboration	<u>Combined search for electroweak production of charginos and neutralinos in proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP03(2018)160">10.1007/JHEP03(2018)160</a>	Published in JHEP 1803 (2018) 160  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1801.03957">arXiv:1801.03957</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	44
31)	CMS Collaboration	<u>Search for new physics in events with two soft oppositely charged leptons and missing transverse momentum in proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1016/j.physletb.2018.05.062">10.1016/j.physletb.2018.05.062</a>	Published in Phys.Lett. B782 (2018) 440-467  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1801.00359">arXiv:1801.00359</a> [hep-ex]	Netherland, Elsevier	42
32)	CMS Collaboration	<u>Electroweak production of two jets in association with a Z boson in proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1140/epjc/s10052-018-6049-9">10.1140/epjc/s10052-018-6049-9</a>	Published in Eur.Phys.J. C78 (2018) no.7, 589  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1712.09814">arXiv:1712.09814</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	33



33)	CMS Collaboration	<u>Search for R-parity violating supersymmetry in pp collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV using b jets in a final state with a single lepton, many jets, and high sum of large-radius jet masses</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1016/j.physletb.2018.06.028">10.1016/j.physletb.2018.06.028</a>	Published in Phys.Lett. B783 (2018) 114-139  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1712.08920">arXiv:1712.08920</a> [hep-ex]	Netherland, Elsevier	26
34)	CMS Collaboration	<u>Search for Physics Beyond the Standard Model in Events with High-Momentum Higgs Bosons and Missing Transverse Momentum in Proton-Proton Collisions at 13 TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1103/PhysRevLett.120.241801">10.1103/PhysRevLett.120.241801</a>	Published in Phys.Rev.Lett. 120 (2018) no.24, 241801  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1712.08501">arXiv:1712.08501</a> [hep-ex]	APS – America	17
35)	CMS Collaboration	<u>Search for lepton flavour violating decays of the Higgs boson to <math>\mu\tau</math> and <math>e\tau</math> in proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP06(2018)001">10.1007/JHEP06(2018)001</a>	Published in JHEP 1806 (2018) 001  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1712.07173">arXiv:1712.07173</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	48
36)	CMS Collaboration	<u>Identification of heavy-flavour jets with the CMS detector in pp collisions at 13 TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1088/1748-0221/13/05/P05011">10.1088/1748-0221/13/05/P05011</a>	Published in JINST 13 (2018) no.05, P05011  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1712.07158">arXiv:1712.07158</a> [physics.ins-det]	(IOP)	114
37)	CMS Collaboration	<u>Azimuthal correlations for inclusive 2-jet, 3-jet, and 4-jet events in pp collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>	Published in Eur.Phys.J. C78 (2018) no.7, 566	Germany, Berlin, Springer	44

		DOI: <a href="https://doi.org/10.1140/epjc/s10052-018-6033-4">10.1140/epjc/s10052-018-6033-4</a>	e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1712.05471">arXiv:1712.05471</a> [hep-ex]		
38)	CMS Collaboration	<u>Search for <math>Z\gamma</math> resonances using leptonic and hadronic final states in proton-proton collisions at <math>s\sqrt{=}</math> 13 TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1007/JHEP09(2018)148">10.1007/JHEP09(2018)148</a>	Published in JHEP 1809 (2018) 148  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1712.03143">arXiv:1712.03143</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	43
39)	CMS Collaboration	<u>Study of jet quenching with isolated-photon+jet correlations in PbPb and pp collisions at <math>s_{NN}=\sqrt{=}</math> 5.02 TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1016/j.physletb.2018.07.061">10.1016/j.physletb.2018.07.061</a>	Published in Phys.Lett. B785 (2018) 14-39  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1711.09738">arXiv:1711.09738</a> [nucl-ex]	Netherland, Elsevier	26
40)	CMS Collaboration	<u>Search for gauge-mediated supersymmetry in events with at least one photon and missing transverse momentum in pp collisions at <math>s\sqrt{=}</math> 13 TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1016/j.physletb.2018.02.045">10.1016/j.physletb.2018.02.045</a>	Published in Phys.Lett. B780 (2018) 118-143  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1711.08008">arXiv:1711.08008</a> [hep-ex]	Netherland, Elsevier	26
41)	CMS Collaboration	<u>Search for excited quarks of light and heavy flavor in <math>\gamma+</math> jet final states in proton-proton collisions at <math>s\sqrt{=}</math> 13TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1016/j.physletb.2018.04.007">10.1016/j.physletb.2018.04.007</a>	Published in Phys.Lett. B781 (2018) 390-411  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1711.04652">arXiv:1711.04652</a> [hep-ex]	Netherland, Elsevier	22
42)	CMS Collaboration	<u>Measurement of the underlying event activity in inclusive Z boson production in proton-proton</u>	Published in JHEP 1807 (2018) 032	Germany, Berlin, Springer	38

		<u>collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>	e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1711.04299">arXiv:1711.04299</a> [hep-ex]		
43)	CMS Collaboration	<u>Measurement of the inclusive <math>t\bar{t}</math> cross section in pp collisions at <math>\sqrt{s}=5.02</math> TeV using final states with at least one charged lepton</u>	Published in JHEP 1803 (2018) 115  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1711.03143">arXiv:1711.03143</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	42
44)	CMS Collaboration	<u>Measurement of associated Z + charm production in proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=8</math> TeV</u>	Published in Eur.Phys.J. C78 (2018) no.4, 287  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1711.02143">arXiv:1711.02143</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	50
45)	CMS Collaboration	<u>Search for top squarks and dark matter particles in opposite-charge dilepton final states at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>	Published in Phys.Rev. D97 (2018) no.3, 032009  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1711.00752">arXiv:1711.00752</a> [hep-ex]	APS – America	29
46)	CMS Collaboration	<u>Search for new physics in events with a leptonically decaying Z boson and a large transverse momentum imbalance in proton-proton collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>	Published in Eur.Phys.J. C78 (2018) no.4, 291  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1711.00431">arXiv:1711.00431</a> [hep-ex]	Germany, Berlin, Springer	48

47)	CMS Collaboration	<u>Search for supersymmetry in proton-proton collisions at 13 TeV using identified top quarks</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1103/PhysRevD.97.012007">10.1103/PhysRevD.97.012007</a>	Published in Phys.Rev. D97 (2018) no.1, 012007  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1710.11188">arXiv:1710.11188</a> [hep-ex]	APS – America	29
48)	CMS Collaboration	<u>Measurement of quarkonium production cross sections in pp collisions at <math>\sqrt{s}=13</math> TeV</u>  DOI: <a href="https://doi.org/10.1016/j.physletb.2018.02.033">10.1016/j.physletb.2018.02.033</a>	Published in Phys.Lett. B780 (2018) 251-272  e-Print: <a href="https://arxiv.org/abs/1710.11002">arXiv:1710.11002</a> [hep-ex]	Netherland, Elsevier	22
